სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 08

2013 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და პირობების და კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N149 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „ე" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2013 წლის 25 თებერვალს „ 2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსი";
2. „2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში" ელექტრონული რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2013 წლის 26 თებერვლიდან 2013 წლის 28 მარტის 24.00 საათის ჩათვლით;
3. „ 2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში" მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 2 აპრილი, 18:00 საათი;
5. დამტკიცდეს „2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში" მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს „2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსი"-ს პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
5. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონსულტანტს მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში (დ. გუგავას) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www. Rustaveli.org.ge.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი _____

შეთანხმებულია:

ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის
უფროსი მალხაზ ხოფერია ----------

სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის
უფროსი ირაკლი ნოსელიძე ----------

მონიტორინგის დეპარტამენტის
უფროსი მირიან ბიჭიკაშვილი ----------

გენერალური დირექტორის მოადგილე კარლო ლაფერაძე ----------

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2013 წლის 25 ---------- ---------- ----------

№ 08 ---------- ბრძანებით

დანართი N1

განცხადება

კონკურსში მონაწილეობის შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

1.	კონფერენციის სახელწოდება	
2.	კონფერენციის ჩატარების პერიოდი	

მოგახსენებთ, რომ გავეცანი კონკურსის პროგრამა და პირობებს, ვეთანხმები და ვაღიარებ მათ სავალდებულო დაცვას. პასუხისმგებელი ვარ სააპლიკაციო ფორმაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე. ამასთანავე, ვაცნობიერებ, რომ არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება 2013 წელს საკონფერენციო გრანტის მისაღებად.

- წამყვანი ორგანიზაცია (ივსება მხოლოდ იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შემთხვევაში)

წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	*წამყვანი ორგანიზაციის სტატუსი*	*წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი*	*ხელმოწერა*

ბეჭედი:

- შემსრულებლები

№	*სახელი, გვარი*	*როლი პროექტში*	*ხელმოწერა*
1.			
2.			
3.			

- ინფორმაცია თანადაფინანსების შესახებ (ივსება თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში)

თანადაფინანსებელი	*თანადაფინანსების მოცულობა*	*ხელმოწერა*

ბეჭედი:

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2013 წლის 25 მეგობარი
№ 08 ბრძანებით
დანართი N2

2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის პროგრამა და პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. საკონფერენციო გრანტების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, მსოფლიო პროცესებში მეცნიერთა ინტეგრირებას.

2. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

3. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება საგრანტო პროექტები შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით:

ა) ქართველოლოგიის მეცნიერებები;
ბ) ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
გ) საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
დ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
ე) მათემატიკა, მექანიკა;
ვ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
ზ) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
თ) სამედიცინო მეცნიერებები;
ი) საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
კ) აგრარული მეცნიერებები.

3. კონკურსის პირობები და მასში მონაწილეობა

1.კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი კონფერენციის ჩატარება გათვალისწინებული უნდა იყოს 2013 წლის 20 აპრილიდან 2014 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლიათ:

ა) საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეს (მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი).

3. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება პროექტის წარმდგენ იურიდიულ პირს/პირებს, აგრეთვე

ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

4. დადგენილი ვადის დარღვევით წარმოდგენილი განაცხადები საკონკურსოდ არ განიხილება.

4. დაფინანსება

1. ფონდიდან მოთხოვნილი საკონფერენციო გრანტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს

2. საკონფერენციო გრანტის ფარგლებში ფინანსდება:

ა) კონფერენციის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის საზღაური (კონფერენციის ორგანიზატორთა ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს).

ბ) კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;

გ) კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;

დ) კონფერენციის მონაწილეთა კვების ხარჯი;

ე) კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;

ვ) კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯები;

ზ) კონფერენციის მასალების დაბეჭდვა;

თ) სხვა საქონელი და მომსახურება (საკანცელარიო და სხვ.).

3. თანადაფინანსების სახით კონფერენციის ხარჯებზე შეიძლება მიმართულ იქნას:

ა) კონკურსში მონაწილე პირის საკუთარი სახსრები;

ბ) დონორის/სპონსორის მიერ გამოყოფილი დაფინანსება;

5. საკონკურსო განაცხადის წარდგენა

1. 2013 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ელექტრონული რეგისტრაცია.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის გრანტის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) იურიდიულმა პირებმა:

ა.ა) შევსებული განცხადების ფორმა (ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული);

ა.ბ) საპროექტო წინადადება (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ა.გ) პროექტის ბიუჯეტი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ა.დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ა.ე) სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ა.ვ) პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ა.ზ) დონორის/სპონსორის მიერ გამოყოფილი დაფინანსების შემთხვევაში ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილი გაცემული თანადამფინანსებლის მიერ (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ) ფიზიკურმა პირებმა:

ბ.ა) შევსებული განცხადების ფორმა (ხელმოწერილი);

ბ.ბ) საპროექტო წინადადება (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.გ) პროექტის ბიუჯეტი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.ე) პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.ვ) პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.ზ) გრანტის მაძიებლის პირადობის მოწმობის სრული ასლი (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ.თ) გრანტის მაძიებლის მუშაობის ან/და განათლების/ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ.ი) კონფერენციის ორგანიზაციის ბაზაზე ჩატარების შემთხვევაში ამ ორგანიზაციის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც განხორციელდება პროექტი (ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით) (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ.კ) 2 სარეკომენდაციო წერილი (იმ მეცნიერებისგან, ვინც კარგად იცნობს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით და საორგანიზაციო საქმიანობას და კონფერენციის თემატიკას) (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ.ლ) დონორის/სპონსორის მიერ გამოყოფილი დაფინანსების შემთხვევაში ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილი გაცემული თანადამფინანსებლის მიერ (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე).

6. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია) იქმნება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით 9 წევრისაგან, რომელშიც 2 წევრი წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, 3 – საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ან/და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხოლო 4 – ფონდს.

2. კომისიის თავმჯდომარე არის ფონდის გენერალური დირექტორი ან მის მიერ კომისიის შემადგენლობიდან დანიშნული პირი.

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან.

4. კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე ან/და ფონდის გენერალური დირექტორი.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 5 წევრი მაინც.

6. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე.

7. კომისია:

ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებასა და შერჩევას „საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის № 149 დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად.

8. ფონდი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კომისიაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს ექსპერტები სათათბირო ხმის უფლებით.

7. ანგარიშგება, მონიტორინგი

1. კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პრეტენდენტთა სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი აფორმებს ხელშეკრულებებს გრანტის მიმ-ღებებთან, სადაც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.

2. გრანტის მიმღებებმა კონფერენციის ჩატარებიდან 15 დღის განმავლობაში ფონდს უნდა წარუდგინონ განხორციელებული ღონისძიების (ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული) ტექნიკური ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და პროგრამული ნაწილებისაგან.

3. ფინანსურ ანგარიშში დეტალურად გაწერილი უნდა იყოს შესრულებული სამუშაოს ხარჯთა ნუსხა.

4. პროგრამული ანგარიში ჩატარებული კონფერენციის შესახებ (არა უმეტეს 4 გვერდისა) უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კონფერენციის სტატუსი (ლოკალური ან საერთაშორისო);

ბ) თემატიკა;

გ) ჩატარების თარიღი;

დ) ჩატარების ადგილი;

ე) კონფერენციის ხანგრძლივობა;

ვ) კონფერენციების სექციები (ასეთი სექციების არსებობის შემთხვევაში);

ზ) კონფერენციის მონაწილე მომხსენებელთა რაოდენობა (უცხოელი და ქართველი);

თ) სამუშაო ენები;

ი) სამუშაო რეგლამენტი.

5. პროგრამულ ანგარიშს უნდა ერთვოდეს:

ა) ჩატარებული კონფერენციის ამსახველი ბეჭდვითი მასალა: ა) მოსაწვევი; ბ) პროგრამა ან თეზისები; გ) კონფერენციის მასალები;

ბ) ვიზუალური მასალა: ა) ფოტო; ბ) ვიდეო; გ) DVD; დ) CD;

გ) ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია ჩაწერილი უნდა იყოს კომპაქტდისკზე (CD).

6. კონფერენციის ფარგლებში შექმნილ ნაბეჭდ მასალაზე (ფლაერი, ბანერი, მოსაწვევი, კონფერენციის შრომათა კრებული და სხვ.) სავალდებულოა განთავსდეს ფონდის ლოგო.

7. ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილი არიან, დაესწრონ კონფერენციას.

8. გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები შესაძლებელია ფონდმა გამოიყენოს თავის ვებგვერდზე განთავსების, საქმიანობის ანგარიშში ჩართვის, სხვა ბეჭდვით ან ელექტრონულ პროდუქციაში გამოყენების მიზნით.